2. მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭებათ სააგენტოს შესყიდვების სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო შემსყიდველის მხრიდან შემსყიდველის ორგანიზაციის დირექტორს - გიორგი გარდახაბაძე.

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

1.ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების საშუალებით ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვის გზით.

2.შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

3. ანაზღაურების ადგილია - ქ.თბილისი.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1 შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება.

7.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა.

7.1.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, მოსთხოვოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაცემული დოკუმენტაციის უკან დაბრუნება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1მიაწოდოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია\დოკუმენტაცია.

7.2.2 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და დადგენილ ვადაში.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაციის\დოკუმეტაციის მიწოდება.

7.3.2 მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობითა და პირობების შესაბამისად.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული მომსახურება, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.4.2 დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

7.4.3 შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, დაუბრუნოს მას მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

1.მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.